

რეგიონული განვითარების შესახებ  
ცოდნა და გამოცდილება –  
თარგმანების სერია

ტერიტორიული კონკურენტუნარიანობა და  
ადგილობრივი და რეგიონული განვითარება  
„პოლიტიკით ნაკარნახევი თეორიის“  
კლასიკური ამბავი

ჯილიან ბრისტოუ

კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის (CTC) მიერ მომზადებულია სტატიების კრებული: „**რეგიონული განვითარების შესახებ ცოდნა და გამოცდილება - თარგმანების სერია**“.

წინამდებარე სტატია წარმოადგენს **ადგილობრივი და რეგიონული განვითარების სახელმძღვანელოს** (Pike, Rodríguez-Pose and Tomaney, Handbook of Local and Regional Development, London and New yourk: Routlege, 2011) ამონარიდს და თარგმანების სერიის ერთ-ერთი ნაწილია.

თარგმანი: ნათია ნადირაძე  
რედაქტირება: ნინო ბექაშვილი  
გრაფიკული დიზაინი: რევაზ აფხაზავა

---

# შინაარსი

---

შესავალი .....	1
ტერიტორიული კონკურენტულობა: ქალსური კონცეფცია .....	2
პოლიტიკით ნაკარნახევი თეორია.....	5
კონკურენტობის მდგრადი პოლიტიკის საჭიროების გაგება.....	7
კონკურენტობის მიღმა.....	10
დასკვნები .....	13

# შესავალი

მარტივად რომ ვთქვათ, კონკურენცია ყველგანაა. მთელს მსოფლიოში რეგიონებს და ქალაქებს მტკიცედ სჭერათ, რომ ისინი ეკონომიკური განვითარების გლობალურ კონკურსში ერთმანეთის მეტოქეები არიან. ადგილობრივი და რეგიონული ეკონომიკური განვითარების სტრატეგიები შედეგენილია იმ ენით, რომელშიც იკითხება მოგების, კონკურენტული უპირატესობის მოპოვების, რეიტინგებში დაწინაურების, და ისეთი საკვანძო რესურსების დაპატრონების სულისკვეთება, როგორცაა გლობალური კაპიტალური ინვესტიციები, მთავრობის დაფინანსება, გლობალური ღონისძიებები, ვიზიტორები ან კვალიფიციური, „კრეატიული“ მოქალაქეები.

ეს არ არის განსაკუთრებული მდგომარეობა. კონკურენციის იმპერატივი, რომლის წინაშეც დგას ქალაქები და რეგიონები, ასახავს ეკონომიკური წარმატების შესახებ არსებულ დომინანტურ წარმოდგენას ნაციონალურ და სუპრანაციონალურ დონეებზე. კონკურენტულობა, მაგალითად, წარმოადგენს ევროკავშირის ლისაბონის დღის წესრიგის ერთ-ერთ მთავარ თემას. ლისაბონის დღის წესრიგში მკაფიოდ არის განწერილი, რომ მისი მიზანია „გადააქციოს ევროკავშირი მსოფლიოს ყველაზე კონკურენტულ და დინამიურ, ცოდნაზე დაფუძნებულ ეკონომიკად“ (Commission of the European Communities, 2000: 2). კონკურენტუნარიანობის იდეა ფხვს იკიდებს გლობალურ სამხრეთში, რომელმაც სწრაფად აითვისა ჩრდილოეთის მანერები კონკურენტუნარიანობის შესახებ და მისი ხელშემწყობი პოლიტიკის მიდგომები (Wignaraja, 2003; UNCTAD, 2004). ცხადია, რომ „ახალი ტრადიციული სიბრძნე“ გვეუბნება, რომ გლობალიზაციისა და ახალი ტექნოლოგიების განვითარების შედეგად შექმნილ ბაზარზე გადასარჩენად, სახელმწიფოები, რეგიონები და ქალაქები კონკურენტუნარიანები უნდა იყვნენ.

და მაინც, მოსაზრებას იმის შესახებ, რომ კონკურენცია ასევე ეხება ადგილებს, უკეთეს შემთხვევაში ხშირად „მცდარს“ უწოდებენ (Kitson *et al.*, 2004), ხოლო უარეს შემთხვევაში „საშიშ აკვიატებად“ მოიხსენიებენ (Krugman, 1994), რომლის გამოყენებაც არა მხოლოდ ხელს უშლის ადგილობრივი და რეგიონული ეკონომიკების მოქმედების მექანიზმის გაგებას, არამედ, სხვა მოვლენებთან ერთად, იწვევს გაუმართლებელ და დამაბიანებელ კონკურენციას ადგილებს შორის. წინამდებარე თავის მიზანია ფართოდ მიმოიხილოს ტერიტორიულ ან ადგილებთან მიმართული კონკურენციის ირგვლივ მიმდინარე მსჯელობა. მიუხედავად იმისა, რომ კონკურენციას ახლა თითქმის ყველგან იყენებენ, წინამდებარე თავი ყურადღებას ამახვილებს ტერმინის მნიშვნელობაზე და შესაბამისობაზე ადგილობრივი და რეგიონული ეკონომიკური განვითარების კონტექსტთან. დასაწყისისთვის განმარტებულია, თუ რას ნიშნავს ტერიტორიული ტერიტორიული კონკურენცია. როგორც ირკვევა, ეს კონცეფცია საკმაოდ ბუნდოვანია და დაფუძნებულია სუსტად განვითარებულ თეორიულ ჩარჩოზე. ამტკიცებენ, რომ ტერიტორიული კონკურენციის კონცეფციის პოპულარიზაცია იმის კლასიკური მაგალითია, რასაც „პოლიტიკით ნაკარნახევ თეორიას“ უწოდებენ (Lovering, 1999), ხოლო კომენტატორები ახლა ცდილობენ გამართლება გამოუძებნონ ამ ტერმინის გამოყენებას, რომელიც პოლიტიკურ დისკურსში უკვე დიდი ხანია დამკვიდრდა. ეს მცდელობა, თვის მხრივ, იწვევს იმ პოლიტიკის და სტრატეგიების მზარდ კრიტიკას, რომლებიც პრიორიტეტულად მიიჩნევა კონკურენტულობის გამო. შემდეგი საკითხი, რომელსაც ეს თავი ეხება, არის იმ პოლიტიკური ეკონომიკური მიდგომების მიმართ მზარდი ინტერესი, რომელიც ხელს უწყობს კონკურენციის იდეის დომინანტურ მდგომარეობას. ეს მიდგომები ღირებულია იმდენად, რამდენადაც ის წარმოადგენს სასარგებლო ინსტრუმენტს გასაგებად, თუ რატომ არის კონკურენტულობა ასე მიმზიდველი ადგილობრივი და რეგიონული განვითარების პოლიტიკისთვის და ვინ ქმნის და ავრცელებს ამ დომინანტურ იდეებს. თავის დასკვნით ნაწილში კი განვიხილავთ, თუ რაში და სად შეიძლება შევეწინააღმდეგოთ ან სადავო გავხადოთ ტერიტორიული კონკურენტობის იდეა.

# ტერიტორიული კონკურენტულობა: ქაოსური კონცეფცია

მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხების ირგვლივ სულ უფრო იზრდება სამეცნიერო ინტერესი, რომელიც მრავალ მომიჯნავე თემებს კვეთს, ჯერ კიდევ არ არსებობს შეთანხმება იმის თაობაზე, თუ ზუსტად რას ნიშნავს ტერიტორიული კონკურენტობის ცნება. ფართოდ რომ შევხედოთ, ამ კონცეფციის გაგება ორგვარად შეგვიძლია: პირველი მიდგომა შედარებით ვიწროა და ბაზრის წილებსა და რესურსებზე კონკურენციას გულისხმობს, ხოლო მეორე, რომელიც შედარებით ფართოა, განვითარებისთვის აუცილებელ პირობებს უფრო ფართო გრძელვადიანი კეთილდღეობის განმაპირობებელი ფაქტორებისა და დინამიკას ჭრილში განიხილავს. ეს სხვადასხვა კონცეფციები, როგორც წესი ერთმანეთში ირევა და დაბნეულობას ქმნის, რაც ტერიტორიული კონკურენტულობის გაგების მთავარ სირთულეს წარმოადგენს. მაგალითად, ზოგიერთი ავტორის აზრით, ტერიტორიები კონკურენციაში შედიან სწორედ ისე, როგორც ბიზნესკომპანიები, რომლებიც ბაზრის წილების მოპოვებისთვის იბრძვიან. ეს მოსაზრება გამომდინარეობს ბიზნესის ეკონომიკის შესახებ არსებული ლიტერატურიდან, რომელიც განიცდის მაიკლ პორტერის, რობერტ რაიხის და ლესტერ თუროუს უზარმაზარს გავლენას. ეს ავტორები ამტკიცებენ, რომ ეკონომიკური უპირატესობის მოსაპოვებლად ტერიტორიები ერთმანეთს ეჯიბრებიან სწორედ ისე, როგორც ამას კომპანიები და ფირმები აკეთებენ. ამგვარად, ტერიტორიული კონკურენტობის იდეა წარმოადგენს გლობალიზაციის დისკურსის უშუალო წინამორბედს, რადგან იგი ამტკიცებს, რომ ომისშემდგომი შეთანხმებების და ნეოლიბერალური პოლიტიკური ეკონომიკის აღმშენებლის ფონზე, გლობალური ეკონომიკის სტრუქტურა მკვეთრად შეიცვალა (Krugman, 1996).

ეს მიდგომა ტერიტორიებს იმ აქტორად მოიაზრებს, რომელსაც ექსკლუზიური კონტროლი აქვს საკუთარ იურისდიქციაზე და რომელიც აქტიურად ჩაბმულია კონკურენციაში სხვა მსგავსი მახასიათებლების მქონე ტერიტორიებთან მკაფიოდ განსაზღვრული და სივრცითი კავშირების მქონე ფაქტორულ ბაზრებზე. თუმცა, ეს ვარაუდი საკმაოდ არადაძაჯერებლად გამოიყურება. ფირმა საქმიანობას წყვეტს, თუ მას არ შესწევს ძალა სხვებს კონკურენცია გაუწიონ, მაშინ, როდესაც ტერიტორიებზე ეს არ ვრცელდება. ფირმებს შეუძლიათ შევიდნენ და გამოვიდნენ ბაზრებიდან, მაგრამ ქალაქებს (რეგიონებს) - არ შეუძლიათ. უფრო მეტიც, ფირმებისგან განსხვავებით, ადგილებს შეიძლება ერთზე მეტი ამოცანა ჰქონდეთ და ეკონომიკური წარმატების მიღწევა ან მოგება მათი ერთადერთი მიზანი არ იყოს (Turok, 2004). ამასთან ერთად ადგილის მიერ კონკურენციაში მიღწეული წარმატება, შეიძლება სხვა ადგილის წაგების ხარჯზე არ ხდებოდეს. ცხადია, რეგიონებსა და ქალაქებს შორის არსებობს კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულება. მათ შორის არსებული ურთიერთობა ხშირად თანამშრომლობითია და არა ყოველთვის - კონფლიქტური ან კონკურენციაში მყოფი. ისინი ერთმანეთის ბაზრებით სარგებლობენ, სხვადასხვა ქალაქში და ადგილზე მცხოვრები ადამიანები ერთმანეთთან ურთიერთობენ და როგორც წესი, მიწოდების ჯაჭვი ქალაქის სამღვრებს მიღმაც ვრცელდება. როგორც ანვინი (As Unwin 2006: 5) აღნიშნავს „ვერაგინ იტყვის, რომ თუ მანჩესტერის ეკონომიკა მოიკოჭლებს, ეს ლივერპულისთვის კარგი ამბავია“.

თუ ლივერპულში წარმოებულ საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნა შემცირდება, მანჩესტერიც ვეღარ შეძლებს მიაწოდოს შესაბამისი ხარისხისა და ღირებულების საქონელი და სერვისი. „შესაბამისად, რეგიონებისა და ქალაქების შედარება ბიზნეს აქტორებთან, რომლებიც დაუნდობელ კონკურენციაში არიან ჩაბმულები ერთმანეთთან, ნაკლებად დამაჯერებელია (Bristow, 2005). თუმცა, იმის უარყოფაც არ შეიძლება, რომ ტერიტორიული კონკურენცია ადგილებს შორისაც არსებობს, რისი მაგალითებიც ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების შესახებ არსებულ ლიტერატურაში უხვად მოიძებნება. ეს მაგალითები შეეხება მოძრავი კაპიტალური რესურსების, კვალიფიციური მუშახელის, ღონისძიებებისა და ტურისტებისა მოზიდვისა და შენარჩუნებისთვის სივრცით კონკურენციას (Buck *et al.*, 2005). ამ ტენდენციამ გააღვივა ინტერესი იმ ქონებისა და რესურსების, აგრეთვე მათი ბუნებისა და ტიპის მიმართ, რომელთა წყალობითაც რეგიონული ეკონომიკები მიმზიდველი ხდება და „ნებოვნებას“ იძენს (Markusen, 1996). თუმცა, ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ ტერიტორიული კონკურენციის პირობებში ამგვარ ქცევას ყოველთვის არ მივყავართ მკაფიოდ განსაზღვრულ შედეგებამდე, როგორც ეს ფირმების შემთხვევაში ხდება. უფრო მეტიც, კონკურენციას შესაძლოა ნეგატიური

შედეგებიც კი მოჰყვას სულ მცირე ალტერნატიული დანახარჯების სახით, რომლებიც ტენდერული ომებისა და წამახალისებელი ინსტრუმენტების კონკურენციის თანმდევი (Markusen, 2007).

მოკლედ რომ ვთქვათ, მნიშვნელოვანია განვასხვავოთ კონკურენცია და კონკურენტუნარიანობა (Kitson *et al.*, 2004). მიუხედავად იმისა, რომ ადგილებს შორის შეიძლება არსებობდეს გარკვეული ტიპის კონკურენცია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ის ფირმებს შორის არსებული კონკურენციის იდენტურია. ტერიტორიები კონკურენტულები არ არიან უფრო სწორი იმის თქმა იქნება, რომ ისინი ვითარდებიან და ასრულებენ გარკვეულ საქმიანობას. თუმცა, რადგან ადგილებს შორის კონკურენცია იმ ფაქტორების გამო წარმოიშობა, რომელიც ხელსუწყობს განვითარების პროცესისფორმირებას და კონკურენტული ბიზნესებისთვის მიმზიდველ გარემოს ქმნის, შესაბამისად არსებობს მკაფიო კავშირები ტერიტორიული კონკურენტობის მეორე, უფრო ფართო კონცეპტუალიზაციასთან, რომელიც მას უკავშირებს შედარებით ეკონომიკურ კეთილდღეობას.

ამგვარი ფართო მიდგომის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი მხარდამჭერი მაიკლ სტორპერი, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა რეგიონული კონკურენტობის კონცეფციის პოპულარიზაციაში, ასე განმარტავს ამ კონცეფციას:

„რეგიონის უნარი მიიზიდოს და შეინარჩუნოს ფირმები სტაბილური ან მზარდი საბაზრო წილით ისე, რომ შეუნარჩონოს მასში მონაწილეებს ცხოვრების სტაბილური ან მზარდი სტანდარტები“ (Storper, 1997: 264).

ეს განსაზღვრება, რომელიც სულ უფრო ხშირად გამოიყენება ქალაქებთან მიმართებაშიც, კონკურენტუნარიანობას ფართო ცნებად განიხილავს, რომელიც ზომავს ეკონომიკური საქმიანობის შედეგებს. შესაბამისად, არსებობს ვარაუდი, რომ რეგიონები და ტერიტორიები წარმოადგენს ნაციონალური, ანუ მაკრო ეკონომიკის შემცირებული მასშტაბის ვერსიას. ამ მოსაზრების მიხედვით, ადგილი კონკურენტულია მაშინ, როდესაც მას გააჩნია ცხოვრების სტანდარტის გაუმჯობესებისა და „მომგებიანი“ შედეგების შენარჩუნების უნარი. კონკურენტუნარიანობა, შესაბამისად, მდგომარეობს კონკრეტულ ადგილზე მოქმედი ფირმების კონკურენტუნარიანობაში. კონკურენტული ადგილი კი, არის ის, სადაც არსებობს მაღალი მოგებისა და ხელფასების გენერირების პირობები დამატებითი ღირებულების მაღალი ზრდის მქონე ფირმების თავმოყრის წყალობით.

სიძნელე კი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ძნელია ზუსტად განვსაზღვროთ თუ რა „პირობები“ უწყობს ხელს კონკურენტულ წარმატებას და როდის მიიღწევა „კონკურენტუნარიანობა“. თეორიული მცდელობები ადგილებზე მიბმული კონკურენტობის გასაგებად აქტიურად უჭერს მხარს იმ იდეას, რომ კონკურენტუნარიანობის ძირითადი ინგრედიენტები ძირითადად ენდოგენურია და არსებობს იმ გარემოში, სადაც ბიზნესი ოპერირებს. ეგრეთ წოდებული „რბილი“ ლოკაციური ფაქტორები ხელს უწყობს კეთილისმყოფელი გარემოს შექმნას წარმატებული ფირმების განვითარებისთვის. აქ იგულისხმება სოციალური კაპიტალი და ნორმები, ასევე ნდობა, რომელიც ჩამოყალიბებულია ადგილზე მოქმედი ბიზნესკომპანიებს შორის, ადგილობრივი სამეწარმეო კულტურა, ადგილობრივი სოციალური გარემოს ხარისხი, კულტურული რესურსები, ადგილის იდენტობა და საერთაშორისო იმიჯი (უფრო ვრცლად ამ საკითხის ირგვლივ იხილეთ Cambridge Econometrics. 2002).

რადგან, იგივე „რბილი“ ლოკაციური ფაქტორები ასევე უწყობს ხელს ახალი ინვესტიციებისა და სამუშაო ძალის მოზიდვას, ნათელია, რომ ადგილზე მიბმულ კონკურენტულობასა და ტერიტორიებს შორის კონკურენციას შორის გამყოფი ხაზი არც თუ ისე მკაფიოა. რიგი ავტორებისა საეჭვოდ მიიჩნევენ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ შესაძლებელია კონკურენტუნარიანობის გატოლება ადგილობრივ და რეგიონალურ ეკონომიკურ კეთილდღეობასთან. სანაცვლოდ, ისინი ამტკიცებენ, რომ „კონკურენტუნარიანობა“ მყდაგდება ადგილზე მოქმედი ფირმების საქმიანობაში. ამ მხრივ საეტაპოა მაიკლ პორტერის ნაშრომი, რომელიც ამტკიცებს, რომ კონკურენტუნარიანობა, უბრალოდ, ინსტრუმენტია პროდუქტიულობის მისაღწევად, რადგან, ადგილის

პროდუქტიულობა შეიძლება დაყვანილ იქნეს იქ მოქმედი ფირმების პროდუქტიულობამდე განურჩევლად იმისა, თუ ვინ არიან სუბსიდიარები (Porter, 1990, 1998, 2003).

გარდა ამისა, პროტერი ამტკიცებს, რომ ადგილობრივი და რეგიონული გარემო უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს პროდუქტიულობაში, რადგან შედარებითი უპირატესობა იქმნება და ნარჩუნდება იმ პროცესების მეშვეობით, რომლებიც გამოირჩევა „ლოკალურობის მაღალი ხარისხით“ (Porter, 1990: 19). შესაძლოა, არსებობდეს რამდენიმე არგუმენტი კონკურენტუნარიანობის პროდუქტიულობის ჭრილიდან განსაზღვრისა და აგრეთვე, პროდუქტიულობასა და ადგილის ეკონომიკურ წარმატებას შორის შესაძლო კავშირის დადგენისთვის.

კამანის (Camagni 2002) მოსაზრების მიხედვით ტერიტორიები ერთგვრიან კონკურენციაში არა შედარებითი, არამედ აბსოლუტური უპირატესობის მოპოვებისა და ხარჯთეფექტიანობისთვის მიღწევისთვის. ითვლება, რომ ადგილი აქვს აბსოლუტური კონკურენტული უპირატესობა, თუ მას გააჩნია კარგად განვითარებული ტექნოლოგიური, სოციალური, ინფრასტრუქტურული ან ინსტიტუციური ბაზა, რომელიც არსებობს ფირმებს მიღმა, მაგრამ ასევე სარგებლის მომტანია ფირმებისა და მათი პროდუქტიულობისათვის. ამის მსგავსად, კრუგმანი ამტკიცებს (Krugman 2003), რომ რეგიონი პროდუქტიულია, თუ მას შეუძლია მიიზიდოს (და შეინარჩუნოს) სხვა რეგიონების სამუშაო ძალა და კაპიტალი. უფრო მეტიც, მისი მოსაზრების მიხედვით, სამუშაო ძალისა და კაპიტალის შემოღინება კიდევ უფრო გააძლიერებს რეგიონის აბსოლუტურ პროდუქტიულ უპირატესობას და უწყვეტ ციკლში მოაქცევს მას.

თუმცა, სუბნაციონალურ (განსაკუთრებით რეგიონულ) დონეზე პროდუქტიულობის კონცეპტუალიზაცია ჯერ კიდევ ბუნდოვანია. დასაქმების დონესთან შეწყვილებული შრომის პროდუქტიულობა წარმოადგენს, როგორც უწოდებენ, „გამჟღავნებულ კონკურენტუნარიანობას“ იმ მხრივ, რომ ორივე ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად განაპირობებს ადგილის ეკონომიკურ წარმატებას და კეთილდღეობის დონეს, თუმცა, ისინი არაფერს გვეუბნება იმ მახასიათებლებისა და რთული პროცესების შესახებ, რომლებზეც თვითონ არიან დამოკიდებული. რასაკვირველია, ჯერ კიდევ ბუნდოვანია თუ რითი არის განპირობებული ის ფაქტი, რომ ზოგი ადგილი უფრო მაღალპროდუქტიულია, ვიდრე სხვები: შეიძლება ეს იყოს განსაკუთრებული ფაქტორები, განსხვავებული წვდომა ცოდნის ბაზაზე, ან მოგება, რომელიც ადგილობრივი ფირმების პროდუქტიულობას უწყობს ხელს (Gardiner.2004).

რეგიონებთან მიმართებაში, სულ უფრო იზრდება ინტერესი ევოლუციური პერსპექტივის მიმართ, რომელსაც, როგორც ჩანს, შესწავს უნარი გარკვეულწილად ახსნას ის, თუ როგორ ახერხებს ზოგიერთი რეგიონი ისეთი ფირმების მიზიდვას, რომლებსაც კონკურენტული უპირატესობა გააჩნიათ (Boschma, 2004). ევოლუციური მიდგომა ყურადღებას ამახვილებს დინამიურ კონკურენტულ უპირატესობაზე, ანუ ეკონომიკური ტრანსფორმაციის სხვადასხვა მიმდინარეობაზე სხვადასხვა ადგილებზე და რეგიონული ეკონომიკის ცვალებადი საბაზრო ეკონომიკისა და ახალ ტექნოლოგიებსა და კონკურენტებზე ადაპტაციის უნარზე. ეს მიდგომა ამტკიცებს, რომ რეგიონის კონკურენტული უპირატესობა გახლავთ მისი ისტორიული, ინსტიტუციური დამოკიდებულების განვითარებისა და ახალი ტრაექტორიების განსაზღვრის უნარზე.

თუმცა, ეს მიდგომა ჯერ-ჯერობით ახალია და მოითხოვს შემდგომ დაკვირვებას, ისევე როგორც კრიტიკულ, ემპირიულ ანალიზს. ამგვარად, ტერიტორიული კონკურენტობის კონცეფცია იმთავითვე ქაოტურია და საჭიროებს მკაფიო განსაზღვრებას აკადემიურ ლიტერატურაში. მნიშვნელოვანია, რომ ეს ქაოსი ასახავს მკაფიოდ ჩამოყალიბებული თეორიული ან კონცეპტუალური ჩარჩოს არარსებობას, რომელიც დაგვეხმარებოდა ტერიტორიების კონკურენტული წარმატების უკეთ გაგებაში, განსაკუთრებით, როდესაც საქმე ეხება ადგილობრივ ან რეგიონულ დონეს. კიტსონისა და სხვების აზრით (Kitson *et al.* 2004: 997): „ჩვენ ჯერ კიდევ შორს ვართ რაიმე ჩარჩოსგან, რომელიც განსაზღვრავდა და ემპირიულად გაანალიზებდა რეგიონის დონეზე კონკურენტულ



უპირატესობას“. თუმცა, ამ ავტორებმა სხვებთან, მაგალითად ბადსა და ჰირმისთან, (Budd and Hirmis, 2004) ერთად მხოლოდ გარკვეულ პროგრესს მიაღწიეს იმ ფაქტორების განსაზღვრაში, რომლებისგანაც უნდა შედგებოდეს ეს ჩარჩო. შეთანხმებული განსაზღვრების ნაცვლად არსებობს მრავალი ნაშრომი და თითოეული მათგანი ცდილობს შემოგვთავაზოს განსხვავებული პერსპექტივა აუცილებელი ცვლადების შესახებ. ამგვარად, ჯერ კიდევ საკმაოდ ბუნდოვანია ის, თუ რა არის რეალურად ტერიტორიული კონკურენტულობა და როგორ უნდა მივალნიოთ მას.

---

## პოლიტიკით ნაკარნახევი თეორია

---

ალბათ, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ პოლიტიკის დისკურსი ტერიტორიული კონკურენტობის ირგვლივ ძალზე დამაბნეველია. პოლიტიკის დისკურსში ტერიტორიული კონკურენტობის კონცეფცია ძალზე ფართო ცნებებით განისაზღვრება. ზოგადად, პოლისიმიეიკერები უპირატესობას ანიჭებენ მაკროეკონომიკურ განსაზღვრებას, რომელიც იგივედება კეთილდღეობასა და წარმატების მაჩვენებელთან.

მაგალითად, დიდი ბრიტანეთის მთავრობა აცხადებს, რომ რეგიონული კონკურენტუნარიანობა „აღწერს რეგიონის უნარს, წარმოქმნას დიდი მოცულობის შემოსავლები და შეინარჩუნოს დასაქმების მაღალი მაჩვენებელი ისე, რომ, ამავე დროს, არ დაკარგოს კონკურენტუნარიანობა ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე (DTI, 2003: 3). ამ განსაზღვრებას ევროკავშირის კომისიაც ეთანხმება. თუმცა, დაბუნეულობას იწვევს ის, რომ დიდი ბრიტანეთის მთავრობა ასევე აქვეყნებს რეგიონული კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი იდექსების მთელ რიგს, სადაც ის მიზანმიმართულად არიდებს თავს იმგვარი მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადასტურებას, რომელიც არსებობს ფირმების ინოვაციების განვითარების პოლიტიკას, პროდუქტიულობასა და ზოგადრეგიონულ ეკონომიკურ წარმატებას შორის. მსგავსი დაბნეულობა არსებობს ქალაქებისა და ქალაქ-რეგიონების კონკურენტუნარიანობას შორის.

მაგალითად, დიდი ბრიტანეთის მთავრობის ანგარიშში ქალაქების მდგომარეობის შესახებ (State of the Cities Report ,ODPM, 2006), ურბანული კონკურენტუნარიანობა განმარტებულია, როგორც ქალაქების შესაძლებლობა, მუდმივად განაახლონ საკუთარი ბიზნეს გარემო, უნარების ბაზა, ფიზიკური და კულტურული ინფრასტრუქტურა იმისთვის, რომ მოიზიდოს და შეინარჩუნოს ზრდის მაღალი დონე, ინოვაციური და შემოსავლიანი ფირმები, განვითარებული და კრეატიული სამუშაო ძალა და შედეგად, მიაღწიოს პროდუქტიულობას და დასაქმებას, ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს მაღალ მაჩვენებელს და ამავედროულად, შემოსავლების უთანასწორობის და სოციალური ექსკლუზიურობის დაბალ დონეს.

ეს განმარტება მოიცავს ურბანული ეკონომიკური განვითარების პოტენციურად ურთიერთსაწინააღმდეგო ელემენტებს და ეხება როგორც ეკონომიკური განვითარების აბსოლუტურ შედეგებს, ასევე ფართო სოციალურ და რედისტრიბუციულ მიზნებს. თუმცა, ეს განმარტება მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ იგი მიუთითებს, თუ როგორ გამოიყურება პრაქტიკაში ტერიტორიული კონკურენტულობა.

კონკურენტუნარიანობის ირგვლივ არსებული პოლიტიკური დისკურსი აერთიანებს „კონკურენტუნარიანობის“ სტრატეგიულ მისწრაფებებს, რომელიც გულისხმობს ეკონომიკური საქმიანობის გაუმჯობესებას რესურსებისთვის კონკურენციაში ჩაბმის მეშვეობით, განვითარებაზე მიმართული წამახალისებელი სტრატეგიების შემუშავებას და ცოდნაზე დაფუძნებული ფირმების, ასევე კვალიფიციური მუშახელის მოზიდვას. კონკურენტუნარიანობა არის ქოლგა-კონცეფცია, რომელიც აერთიანებს ბიზნესზე მიბმული ზრდისა და ტერიტორიების სამეწარმეო გაყიდვის პრაქტიკას.



ამ მხრივ, ტერიტორიული კონკურენტულობა წარმოადგენს „პოლიტიკით ნაკარნახევი თეორიის“ კლასიკურ ამბავს (Lovering, 1999), რომელშიც კომენტატორები პრაქტიკაზე დაკვირვებით ახდენენ უკვე დამკვიდრებული ტერმინის რაციონალიზაციას. მაგალითად, დიდი ბრიტანეთის მთავრობის ზემოთ ნახსენები ანგარიში (ODPM 2006) გვთავაზობს ურბანული კონკურენტუნარიანობის იმგვარ მოდელს, რომლის მხედვეთაც ერთ სულ მოსახლეზე მშპ კონკურენტული უპირატესობის უმთავრესი საზომია და იგი განმტკიცებულია გამყდარებული კონკურენტუნარიანობის ისეთი სხვადასხვა ზომებით, როგორცაა პროდუქტიულობა, დასაქმების დონე, ხელფასების ოდენობა და მოგების მაჩვენებელი.

ეს მაჩვენებლები, თავის მხრივ, მიიჩნევა ურბანული კონკურენტობის ისეთი ძირითადი მასტიმულირებელი ფაქტორების შედეგებად, როგორცაა ინოვაცია, ინვესტიციები, ადამიანური კაპიტალი, ეკონომიკური სტრუქტურა, დაკავშირებულობა, სიცოცხლის ხარისხი და გადანაწილებების მიღების პროცესის სტრუქტურა. ანუ, ისინი მოიცავს კონკურენტუნარიანობის ყველა იმ ასპექტს, რომლებსაც დისკურსი ეხება, თუმცა არ ჩანს თუ როგორ ურთიერთ ქმედებს ეს ფაქტორები ერთმანეთთან. ასევე ნათელი ხდება პოლიტიკით ნაკარნახევი თეორიის გავლენებიც.

შედეგად, ვიღებთ მკაფიო მსგავსებას კონკურენტუნარიანობის გაზრდისკენ მიმართულ იმ სტრატეგიებს შორის, რომლებსაც მსოფლიოს მასშტაბით სხვადასხვა ქალაქები და რეგიონები ნერგავენ და რომლებსაც ახასიათებთ ბიზნეს, კულტურული და სოციალური გარემოს გაუმჯობესებისკენ მიმართული ქონების, საცალო ვაჭრობისა და ინტერვენციების ნაცნობი და დამაბნეველი ნაზავი. ამ მხრივ, ისინი თითქოსდა ხელს უწყობენ ადგილებს შორის კონკურენციას და ამავე დროს აუარესებენ სივრცით თანასწორობას (იხილეთ Cheshire and Gordon, 1995).

გარდა იმისა, რომ ამგვარ სტრატეგიებს აკრიტიკებენ იმ მიდგომის გამო, რომლის მიხედვითაც თითქოსდა არსებობს მზა რეცეპტი, რომელიც ყველა კონტექსტს და სიტუაციას ეხება, კრიტიკას ასევე იწვევს მათ მიერ შემოთავაზებული ვიწრო მიდგომა პოლიტიკის მიმართ, რომელიც მთავარ ყურადღებას უთმობს ადგილზე არსებული რესურსების პოპულარიზაციას და არა მათ განვითარებას (Unwin, 2006) და ურბანული და რეგიონული ფართო სპექტრის პრობლემების მოგვარებას მარტივი და იმპორტირებული პოლიტიკით გვთავაზობს (Bristow and Lovering, 2006) მაშინ, როდესაც რეალურად შეიძლება არსებობდეს ზრდის მრავალი საშუალება. გარდა ამისა, ამგვარი სტრატეგიები უპირატესობას ანიჭებენ ადგილის კეთილდღეობისკენ მიმავალ იმგვარ გზას, რომელიც მხოლოდ კერძო სექტორზე გადის და იშვიათად ითვალისწინებს ისეთ არაეკონომიკურ ცვლადებს, რომლებიც უმნიშვნელოვანესია ყოველდღიურობის სოციალური რეპროდუქციისთვის (Jarvis, 2007).

განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ კონკურენტობის სტრატეგიები მაინცდამაინც დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს არც იმას, თუ ვინ სარგებლობს ფირმების პროდუქტიულობით და კონკურენტუნარიანი ტერიტორიებით, ან ამ შედეგების მდგრადობას და არც იმას, თუ როგორ პასუხობს კონკურენტულობა არსებულ სოციალურ საჭიროებებს, განვითარების ამოცანებსა და ადგილების გარემოსდაცვით შემლუღებს. კონკურენტუნარიანობა, როგორც ჩანს, ერთდღროულად არის როგორც გონივრული და გავრცელებული, ასევე გარკვეულწილად „უზრუნველიც.“

# კონკურენტობის მდგრადი პოლიტიკის საჭიროების გაგება

ტერიტორიული კონკურენტობის კონცეფციის შეზღუდვები აჩენს კითხვების მთელ რიგს იმასთან დაკავშირებით თუ როგორ მოიპოვა ასეთმა ბუნდოვანმა კონცეფციამ ესოდენ დიდი მნიშვნელობა ადგილობრივი და რეგიონული ეკონომიკური განვითარების პოლიტიკის წრეებში. ეს კითხვა ყურადღებას ამახვილებს პოლიტიკის პროცესზე და იდეებისა და ინტერესების მნიშვნელობაზე სტრატეგიული პოლიტიკის დღის წესრიგისა და მიდგომების შემუშავებისას. გარდა ამისა, აქცენტი კეთდება იმ საშუალებებსა და ინსტრუმენტებზე, რომელთა დახმარებითაც ეს იდეები ვრცელდება პოლიტიკაში ჩართული აქტორების ქსელებსა და სივრცით მასშტაბზე. ეს კითხვები ეხება კონკურენტუნარიანობის პოლიტიკურ ეკონომიას, რომელიც ბოლო დრომდე ნაკლებად ექცეოდა ყურადღების ცენტრში (Bristow, 2005).

თუმცა, პოლიტიკის პროცესის მიმართ დისკურსიული მიდგომების გაჩენასთან ერთად, ეს კითხვები სულ უფრო მზარდ ყურადღებას იპყრობს. რასაკვირველია, ზოგიერთი ავტორი პოლიტიკური ეკონომიკის მიდგომებს იყენებს სხვადასხვა ქვეყანაში კონკურენტუნარიანობის დისკურსის ჰეგემონური ან დომინანტური სტატუსის სადემონსტრაციოდ. მაგალითად, ფუგნერი (Fougner 2006) ამტკიცებს, რომ გლობალური კონკურენტობის დისკურსის გავრცელება წინასწარმიმართული ტაქტიკაა, რომელსაც განვითარებული ქვეყნები და ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია მიმართავს ნეოლიბერალური კაპიტალისტური ჰეგემონიისა და მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებში მმართველობის რაციონალურობის შენარჩუნების, აგრეთვე, მისი გლობალურ სამხრეთში გავრცელების მიზნით.

ეს, თავის მხრივ, პრივილეგიას ანიჭებს კონკურენტობის „მიზიდულობაზე“ ორიენტირებულ კონცეფციას, რომელმაც დომინანტობა მოიპოვა. მოკლედ რომ ვთქვათ, ამ კონცეფციის მიხედვით სახელმწიფოები და მათი მოსახლეობა ინვესტიციების გლობალურ ბაზარზე ხდებიან კონკურენტული და შემოქმედებითი მოთამაშეები, რომლებიც „ყიდიან“ ადგილებს. ასევე როზამუნდიც (Rosamund 2002) ამტკიცებს, რომ ევროკავშირის ქვეყნებში კონკურენტობის, როგორც სტრატეგიული იმპერატივის აღმშენებელი ეხმიანება მისი, როგორც სტრატეგიული ინსტრუმენტის მნიშვნელობას ევროპაში ფუნქციური სივრცითი ეკონომიკის გაძლიერებისთვის. ეს ხელს უწყობს მისი ფართო დღის წესრიგის ლეგიტიმაციას, რომელიც ეხება მთავრობის შესაძლებლობის ევორპეიზაციას და ინტეგრაციული პროცესების გაღრმავებას.

სულ ახლახან კულტურულ-პოლიტიკური ეკონომიკის (Cultural Political Economy CPE) მიდგომის შემუშავების შედეგად შეიქმნა სასარგებლო ჩარჩო, რომელიც უკეთ ხსნის თუ როგორ და რატომ იკრებს ძალებს, ვრცელდება და მატერიალიზდება ყოველდღიურ ცხოვრებაში ისეთი იდეა, როგორიცაა კონკურენტულობა (იხილეთ Jessop, 2005). ეს მიდგომა პირველად გაჩნდა „სამეწარმეო ქალაქის“ თემის ირგვლივ ჩატარებული კვლევაში, რომელიც უმნიშვნელოვანესი აღმოჩნდა ორი საკვანძო აღმოჩენის გასაკეთებლად. პირველი მათგანის მიხედვით ქალაქები და რეგიონები წარმოდგენილია როგორც აქტორები ან „სივრცეები“ რომლებსაც გააჩნიათ „დისკურსიულ-მატერიალური აკუმულაციური სტრატეგიებისა და ჰეგემონური პროექტების რეალიზების შესაძლებლობა“ (Jessop and Sum, 2000: 2310). ეს აღმოჩენა მნიშვნელოვანია იმ კუთხით, რომ იგი პირდაპირ მიუთითებს ქალაქებისა და რეგიონების შესაძლებლობაზე, განახორციელოს ინოვაციური სტრატეგიები ეკონომიკური კონკურენტულობის შენარჩუნების ან გაძლიერებისთვის სხვა ეკონომიკურ სივრცეებთან მიმართებაში.

როგორც ასეთი, ქალაქები და რეგიონები სულ უფრო ემსგავსება სახელმწიფოებს. მეორე აღმოჩენა უკავშირება ეგრეთ წოდებული „ეკონომიკური წარმოსახვების“ განვითარებას. ეკონომიკურ წარმოსახვაში იგულისხმება ისეთი ეკონომიკური აქტივობის მთელი რიგი (მაგალითად, კონკურენტულობა, ინოვაციები და სამუშაო ძალა), რომლებიც წარმოადგენს დაკვირვების ადგილებად და ობიექტებად, კალკულაციებად და მმართველობად ტრანსფორმირებულ დისკურსიულ კონსტრუქტებს, რომლებიც სახელმწიფოს მიერ გამოიყენება ჰეგემონიის შენარჩუნების მიზნით (Sum and Jessop, 2001).

კულტურულ-პოლიტიკური ეკონომიკის მიდგომის მიხედვით ეკონომიკური წარმოსახვების კონსტრუქცია შედგება რამდენიმე ევოლუციური ეტაპისგან. პირველ რიგში ეს არის „სელექციის“ პროცესი, რომლის ფარგლებშიც ხდება კონკრეტული დისკურსების პრიორიტეტიზაცია გარკვეული მოვლენების ინტერპრეტაციებისა და ახსნის შესაძლებლობების მიხედვით. მეორეც - ეს არის „შეკავების“ პროცესი, რომელშიც ეს დისკურსები მუდმივად ინკორპორირდება ინსტიტუციური როლებში, რუტინასა და სტრატეგიებში.

მესამე, ეს არის „გაძლიერების“ პროცესი, როდესაც ეს დისკურსები ინერგება პროცედურულ მექანიზმებში, მმართველობის სტრუქტურებში, წესებსა და რეგულაციებში ისე, რომ ისინი გარდაიქმნება ნატურალიზებულ დისკურსად (Jessop, 2005). ჯესოპის მიხედვით არსებობს აქტორებისა და ინსტიტუციების მთელი რიგი, მაგალითად, სამთავრობო სტრუქტურები, ბიზნეს ორგანიზაციები, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, ევროკავშირი და მსოფლიო ბანკი, რომლებიც, საგარეოდ, მიზნად ისახავენ ამგვარი წარმოსახვების ინსტიტუციონალიზაციას და დამკვიდრებას. ისინი იყენებენ ისეთი დისკურსიული ინსტრუმენტების ან „წარბოვნივი ჯაჭვების“ ფართო სპექტრს (Sum, 2004), როგორცაა პოლიტიკის დოკუმენტები და სტრატეგიის ანგარიშები იმისთვის, რათა ამგვარი წარმოსახვები საკუთარ მიზნებს მთარგონ.

კულტურულ-პოლიტიკური ეკონომიკის მიდგომა ღირებულია იმდენად, რამდენადაც იგი გვეხმარება თავიდან ავიცილოთ კონკურენტობის გულუბრყვილოდ მიღება და ამის ნაცვლად დავსვათ კითხვები მისი ევოლუციის პოლიტიკური დინამიკის, ასევე კონკრეტული პოლიტიკის მიზნების მიღწევის ირგვლივ. ეს მიდგომა შემდგომ განვითარებას, დახვეწას და გამოცდას მოითხოვს. გარდა ამისა, რომ გასათვალისწინებელია ისიც, თუ როგორ უკავშირდება ძირითადი ეკონომიკური წარმოსახვების გავრცელება სახელმწიფოს მასშტაბების და ზოგად ცვლილებებს, ასევე მატერიალურ განვითარებას (Jones, 2008). თუმცა, კულტურულ-პოლიტიკური ეკონომიკის მიდგომა მაინც უზრუნველყოფს სასარგებლო ჩარჩოს იმისთვის, რათა უკეთ გავიგოთ ადგილის კონკურენტულობისა და მისი გამძლეობის პოლიტიკური მომხიბვლელი (იხილეთ ბირსტოუ). კონკურენტულობის პოლიტიკური ეკონომიკის ანალიზის შედეგად აშკარად ჩანს ის, რომ იგი რეზონირებს ძირითად ინტერესთა ჯგუფებსა და პოლისიმეიკერებთან. ბიზნესისთვის კონკურენტობის ინტუციური მიმზიდველობა შედარებით იოლი გასაგებია.

ბიზნესისთვის ნაცნობია დაუნდობელი კონკურენციისა და ყველაზე გამძლეების გადარჩენის დარგინისეული პრინციპი. შესაბამისად, მოულოდნელი არ არის ის, რომ კონკრეტული ადგილების მიმართ დაინტერესების შემთხვევაში ბიზნეს ორგანიზაციები მხარს უჭერენ იმგვარ პოლიტიკას, რომელიც უპირატესობას ანიჭებს და ეხმარება კონკურენტუნარიან ფორმებს და ცდილობს გააუმჯობესოს ბიზნესისთვის ხელსაყრელი გარემო. გარდა ამისა, იოლად შესაძრწევია, როგორ ხდება კონკურენტულობის იდეის ძირითადი კომპონენტების ლოგიკის გავრცელება სახელმწიფოს დონიდან რეგიონებსა და ქალაქებზე. ძლევამოსილი ორგანიზაციები, როგორცაა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია და ევროკავშირი ავითარებენ ინსტრუმენტებსა და ტექნიკებს ტერიტორიების კონკურენტუნარიანობის შეფასების ინდიკატორებს კონკურენტუნარიანობის ინდექსისა და ლიგების ცხრილების ჩათვლით. ეს ორგანიზაციები ასევე აქტიურად ახორციელებენ კვლევებს და აქვეყნებენ ანგარიშებს საუკეთესო პრაქტიკისა და პოლიტიკის გავრცელების ანალიზის მიზნით.

თავის მხრივ, აღმოცენდა შემოსავლიანი, განვლენიანი და მძლავრი კავშირების მქონე რეგიონული და ურბანული განვითარების ინდუსტრია, რომელიც მოიცავს ცნობილ კონსულტანტებს, განვითარების საკითხებზე მომუშავე სააგენტოებსა და კვლევით ორგანიზაციებს. ეს სუბიექტები ერთობლივად მუშაობენ იმისთვის, რათა გაავრცელონ ადგილებს შორის და მთელი მსოფლიოს მასშტაბით კონკურენციის ძირითადი იდეები, საგარეოდ საუკეთესო პრაქტიკები და პოპულარული გახადონ პოლიტიკური ინტერვენციის წარმატებული, თუმცა უკიდურესად სტილიზებული, იმიტირებული ფორმები.

ასევე მარტივი გასაგებია ნებისმიერი სივრცითი მასშტაბის ტერიტორიების კონკურენტობის იდეის მიმზიდველობა პოლისიმიეკრებისთვის, განსაკუთრებით როდესაც ვითვალისწინებთ, რომ ამ იდეის უკან კონკრეტული და მძლავრი ინტერესები დგას. კონკურენტობის კონცეფციის ბუნდოვანი ბუნება, ალბათ, ერთ-ერთი გადამწყვეტი ძალაა პოლისიმიეკრებისთვის. იგი იმ ნაგვის ყუთის ფუნქციას ასრულებს, რომელშიც კონკრეტული მიზნის მიღწევისთვის საჭირო სტრატეგიული მოქმედებები შეიძლება ჩაიყაროს. ქალაქებისა და რეგიონებისთვის კონკურენტობის სტრატეგიების ყველაზე გამორჩეული მახასიათებელი მაინც მათი უკიდურესი ბუნდოვანება და მოქნილობაა, რომელსაც ის ხანგრძლივი დროის განმავლობაში ინარჩუნებს.

როგორც ჩანს, კონკურენტუნარიანობის, როგორც მიზნისადმი ერთგულება შეიძლება ინტერპრეტირდეს როგორც ურბანული და რეგიონული მმართველობის ძირითადი აქტორებისთვის საშუალების მიცემა, რათა მათ შეძლონ იმ გარემოებებსა და შესაძლებლობებზე მორგება, რომლებიც პერიოდულად ჩნდება და რომლებიც შემოთავაზებულია პოტენციური ინვესტორების, განსაკუთრებით კი, ქონების განვითარების სექტორის მოთამაშეების მიერ (Bristow and Lovering, 2006; see also Chien and Gordon, 2008). ზოგჯერ შესაძლებელია კონკურენტუნარიანობის გამოყენება სტრატეგიული მიზნებითაც, მაგალითად, კონკრეტული ბიზნესის კომპანიების დახმარების მიზნით, სავარაუდოდ პოლიტიკური ან ელექტორული გამორჩენისთვის.

გარდა ამისა, კონკურენტუნარიანობის მანტია, როგორც წესი, ათავისუფლებს ხოლმე ადგილობრივ პოლისიმიეკრებს პასუხისმგებლობისგან, რადგან კონკურენციის გლობალური ქარების მიერ დანაბერი ცვლილებები, ხშირად წარმოჩინდება ხოლმე როგორც ადგილობრივი პასუხისმგებლობისა და კონტროლის მიღმა არსებული ცვლადები. კიდევ უფრო სერიოზულ შეშფოთებას იწვევს ის, რომ კონკურენტუნარიანობა შეიძლება აღმოჩნდეს ის მახე, რომლიდანაც თავის დაღწევა ძალზე რთულია ადგილობრივი და რეგიონული პოლისიმიეკრებისთვის. კონკურენტუნარიანობის დაკარგვა ან კონკურენციის თამაშიდან გამოსვლა შეიძლება სისუსტისა და ყოფილი კონკურენტებისადმი დანებების ნიშნად ჩაითვალოს.

# კონკურენციის მიღმა

ისე ჩანს, რომ ტერიტორიებისთვის არ არსებობს სხვა ალტერნატივა გარდა იმისა, რომ განახორციელონ კონკურენციაზე ორიენტირებული პოლიტიკა. გარდაუვალი გლობალიზაციის, კონკურენტულობისა და ეკონომიკური ნეოლიბერალიზმის ამბავი იმდენად დამაჯარებელია, რომ ის პოლიტიკების კი, რომლებიც არ ეხება კონკურენტულობას, შეიძლება მოექცეს მის კლანჭებში. როგორც მასი (Massey, 2000: 282) აღნიშნავს, „რადიკალური განსხვავებულობის ნებისმიერი მცდელობა სწრაფად ხდება კომერციალიზაციის საგანი და იყიდება, ან იყიდებოდა... ამ ყველაფრის გათვალისწინებით, იბადება შეკითხვა, რა არის და სად არის ის შესაძლებლობები, რომლებიც საშუალებას მოგვცემდა სხვანაირად გვეკეთებინა საქმე?“

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კონკურენტულობაზე ორიენტირებული პოლიტიკის შემდეგდების მიმართ გამრდილი ცნობიერების შედეგად ჩნდება რამდენიმე მნიშვნელოვანი კითხვა. მაგალითად, პირველი მათგანი ეხება არადგილობრივი თამაშის ნეოლიბერალიზმის მიერ დამკვიდრებულ წესებში ფუნდამენტური ტრანსფორმაციული ცვლილებების მასშტაბს და მის მიერ პრივილეგირებულ ეკონომიკურ რაციონალობას. მეორე კითხვა ეხება იმას, თუ როგორ შეიძლება ადვადგინოთ ადგილისა და კონტექსტის გაძლიერებული შეგრძნება ადგილობრივი და რეგიონული განვითარების პოლიტიკის ლექსიკონში. დაბოლოს, შეუძლია თუ არა ადგილობრივ სტრატეგიულ ინტერვენციებს პრიორიტეტი მიანიჭოს უფრო ფართო, სოციალურად სამართლიან და ეკოლოლოგიური ასპექტზე და არა ვინრო, სამეწარმეო მანტრებზე ორიენტირებულ განვითარების მიზნებს, რომლებიც ადგილების გაყიდვამზეა მიმართული. და თუ ეს შესაძლებელია, როგორ?

როდესაც ხაზს ვუსვამთ, რომ კონკურენტულობა და ცხადია, ნეოლიბერალიზმი, სოციალურ და პოლიტიკურ კონსტრუქტებს წარმოადგენს, კულტურულ-პოლიტიკური ეკონომიკის მიდგომა გულისხმობს, რომ ეს კონსტრუქტები არ არის დაცულები გამონწვევებისგან. მაშინ როდესაც შესაძლებელია ისეთი ეკონომიკური წარმოსახვების, როგორცაა კონკურენტუნარიანობა, დისკურსიულად კონსტრუირება და მატერიალური რეპროდუქცია, ისინი, ასევე, შესაძლებელია არსებობდეს მხოლოდ ნაწილობრივად და შეინარჩუნოს გაუთვალისწინებელი ხასიათი. როგორც ჯესოპი (2005:146) აღნიშნავს, მატერიალური რეპროდუქციის პროცესი „ყოველთვის ჩნდება კონკრეტული აგენტების მიერ გაჩაღებული პაექრობის შედეგად და როგორც წესი, გულისხმობს როგორც ძალაუფლებითა და ცოდნით ასიმეტრიულ მანიპულაციას, ასევე წარმოშობს დავებსა და წინააღმდეგობას“.

ეს ნიშნავს, რომ ყოველთვის რჩება ადგილი იმისთვის, რომ კონკურენტმა წარმოსახვებმა იბრძოლოს დომინანტური წარმოსახვის დასაჩრდილად. მიუხედავად იმისა, რომ ნეოლიბერალიზმის გადავარდნა ნაკლებად სავარაუდოა, არ უნდა გამოირიცხოს ისეთი კატალიზატორული ძალები - მაგალითად, კლიმატის ცვლილება, ნავთობისა და ეკონომიკური კრიზისები, რომლებსაც შეუძლია სიტუაციის დესტაბილიზაცია და ცვლილებების გამოწვევა.

ცხადია, ამგვარმა ძალებმა შეიძლება ისეთი ტემპი განავითაროს შემდგომ წლებში, რომ გამოიწვიოს მომჭირნეობასთან, ევალიტარიანიზმსა და ლოკალიზმთან დაკავშირებული ახალი, გლობალური პრობლემები საზოგადოებრივი და პოლიტიკური აზრის ცვლილების საპასუხოდ. როგორც ლაიტნერი და სხვები აღნიშნავენ (Leitner *et al.* 2007: 325) „რაც გაკეთდა, იმის მოშლაც შესაძლებელია“ და ასევე ცხადია, რომ ნეოლიბერალიზმის შემდგომი პოლიტიკის ვიზუალიზაციისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯები გულისხმობს იმის გააზრებას, რომ ჰეგემონური სულაც არ ნიშნავს სამარადჟამოს.

მეორე ნაბიჯი კი იმის გაცნობიერებაა, რომ კონკურენტუნარიანობისა და ადგილის კეთილდღეობის დომინანტური ინდიკატორები გვთავაზობს განვითარების უკიდურესად ვინრო, ეკონომიკურ საზომს, რომელიც მთელ ყურადღებას ინსტრუმენტულ შენატანებზე ან განვითარების საშუალებებზე ამახვილებს და



არა ხანგრძლივადიან პერსპექტივაზე გათვლილი პოლიტიკის უაღრესად მნიშვნელოვან მიზნებსა და გამოსავლებზე (მაგალითად, ჰანდაცვაზე, კეთილდღეობაზე და მდგრად ბუნებრივ გარემოზე) (Morgan, 2004).

საერთაშორისო დონეზე სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება იმ საზომის მოძიება, რომლისთვისაც პროგრესი და კეთილდღეობა განვითარების უმთავრესი ინდიკატორი იქნებოდა. მაგალითად, შტიგლიც-სენის კომისია, რომლის რიგებში მსოფლიოს ცნობილი ეკონომისტები არიან, ამჟამად განიხილავს განვითარების საზომების ფართო სპექტრს იმ მიზნით, რომ მიაგნოს მშპ-ს გამოანგარიშების გაუმჯობესებულ გზებს და მოახდინოს ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი მდგრადობის ახალი ზომების ინკორპორირება სახელმწიფო ანგარიშებში. კომისიის მიზანს ასევე წარმოადგენს ცხოვრების ხარისხის საზომი ახალი ინდიკატორების შემუშავება.

თუ გავითვალისწინებთ როგორი მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ამგვარმა ინდიკატორებმა საკვანძო წარმოსახვების გავრცელების პროცესში, მათი დეკონსტრუქცია და ტრანსფორმაცია, თავის მხრივ გამოიწვევს პოლიტიკური პრიორიტეტების შეცვლას ხანგრძლივადიან პერსპექტივაში, ახალი იდეალების შექმნას და ინდივიდების შესაძლებლობების ან კოლექტიური სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების, ბედნიერების ძიების, მდგრადობის და საყოველთაო კეთილდღეობის ირგვლივ - ანუ, იმ მორალური ნორმების ირგვლივ, რომლებიც გვავრთიანებს და უზრუნველყოფს სასარგებლოობაზე ორიენტირებული არჩევნის შემაკავებელ მექანიზმებს, რომელსაც სახელმწიფოები ხშირად აკეთებენ (იხილეთ Nussbaum, 2000).

ცხადია, რომ ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე მეტად პროგრესული განვითარების პოლიტიკის მხარდასაჭერად მიღებული ზომები არანაკლებ მნიშვნელოვანია. ტერიტორიული კონკურენტობის კონცეფციის კრიტიკა, რომელიც სულ უფრო შესამჩნევი ხდება, ყურადღებას ამახვილებს ადგილზე არსებულ ცვლილებების გამოწვევის შესაძლებლობაზე. რეგიონები და ქალაქები არ წარმოადგენს პოლიტიკის გადანაცვლებების და სხვა ადგილებში შექმნილი მანტრების ერთმნიშვნელოვან სუბიექტებს, არამედ მათ ახასიათებთ აგნოსტიკური პოლიტიკა მრავალფეროვან და მრავალ ინტერესებსა და ჯგუფებს შორის, რომლებსაც სხვადასხვა მიზნები და მისწრაფებები გააჩნიათ. გარდა ამისა, მათ აქვთ საკუთარი პოლიტიკური არჩევნის გაკეთების მზარდი შესაძლებლობა არსებული მოთხოვნებისა და განვითარების ახალი საზომების საპასუხოდ, თუცა, ეს შესაძლებლობები გარკვეული პარამეტრებითაა შემოფარგლული (Hudson, 2007).

ცხადია, არსებობს სივრცე ალტერნატიული ეკონომიკური წარმოსახვების განვითარებისთვის კონკურენტულობის ირგვლივ მიმდინარე შეჯიბრებისა და ბრძოლების ფონზე. ამასთან, შესაძლებელია ამ წარმოსახვებს შორის არჩევნის გაკეთება, მათი შეკავება ან გაძლიერება, რაც ქვემოდან წამოსული ტრანსფორმაციის ერთ-ერთ სახედ შეიძლება ჩაითვალოს (Leitner *et al.*, 2007). არსებობს მრავალი მტკიცებულება იმისა, რომ რედისტრიბუციის, ეკონომიკური ზრდისა და არათანაბარი განვითარების მატერიალური პირობების ირგვლივ მიმდინარე ბრძოლა ქმნის კონკურენტობის გლობალური ჰეგემონიის წინააღმდეგობას (Krueger and Savage, 2007; Leitner *et al.*, 2007).

მყიფე და დაუცველი კაპიტალიზმის პირობებში, ამგვარად, არსებობს „ალტერნატიული“ ეკონომიკური სივრცეები და პრაქტიკები, რომლებიც ნაკლებად ორიენტირებულია კაპიტალის აკუმულირებაზე და მეტად აქცევს ყურადღებას „ჭკვიანურ ზრდას“, რომელიც ემსახურება ისეთი სოციალურად სამართლიან, ეკოლოგიურად მდგად და ეთიკურ ურბანული და რეგიონული გარემოს შექმნის მიზანს, როგორცაა ტრანზიციური ქალაქები, ადგილობრივი გაცვლისა და სავაჭრო სისტემები, რომ არაფერი ვთქვათ სოციალურ და ეთიკურ ბიზნეს გარემოზე. თუმცა, კითხვა - თუ რა შესაძლებლობები არსებობს იმისთვის, რომ ეს ლოკალიზებული პაექრობა გადაიქცეს დომინანტური ამროვნების საწინააღმდეგო უფრო ფართო პოლიტიკურ პროექტად, ჯერ კიდევ პასუხგაუცემელია (Leyshon *et al.*, 2003; Leitner *et al.*, 2007).



მიუხედავად იმისა, რომ ეს პრაქტიკული ექსპერიმენტები იმთავითვე მრავალფეროვნებით გამოირჩევა, ადგილობრივი და რეგიონული განვითარების დღის წესრიგის შესახებ დისკურსსა და ხედვებში მაინც აღინიშნება საერთო მახასიათებლები, რომლებიც პრაქტიკაში იჩენს თავს. ისინი უკავშირდება მეტად სოციალურ და გარემოს დაცვაზე ორიენტირებულ, მცირემასშტაბიან და ადგილებზე დაფუძნებულ მიდგომას ადგილობრივი და რეგიონული განვითარებისადმი, ანუ მიდგომას, რომელიც ერთი შეხედვით უზრუნველყოფს მედეგობას მერყევი ეკონომიკისა და ეკოლოგიური ცვლილებების ფონზე. ფოკუსირება ამ დისკურსების არა გამყოფ, არამედ გამაერთიანებელ ფაქტორებზე ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან ამ მიდგომას შეუძლია გახსნას შესაძლებლობები კონვენციური მიდგომების სანაირადმდეგო ეფექტური პროექტების რიგობითობისა და სივრცითობის გასაანალიზებლად (Holloway *et al.*, 2007). ეს, ალბათ, შესაძლებელია ახალი ქსელების განვითარებით, რომლებიც მოახერხებენ სოციალური ცვლილებების გამოწვევას და უპასუხებენ იმ გამოწვევებს, რომლებიც სულ უფრო მძლავრად არღვევენ გლობალურ და ადგილობრივ საზღვრებს.

საბედნიეროდ, ეს მსგავსებები ასევე აისახება ქალაქებისა და რეგიონების კვლევის თეორიული ასპექტის განვითარებაზეც, რომელიც ყურადღებას ამახვილებს „განვითარების“ უფრო ფართო და თვისებრივ ხასიათზე და არა უბრალოდ, ეკონომიკურ მოსწრებასა და ზრდაზე. გარდა იმისა, რომ ადგილობრივი და რეგიონული განვითარების ტრანექტორიები და პროცესები იმთავითვე მრავალფეროვნებით გამოირჩევა, ასევე აღიარებულია მათი ევოლუციური, კონტექსტ-სპეციფიკური ხასიათი და მიდრეკილება ინსტიტუციური დამოკიდებულებისადმი. როგორც პაიკი და სხვები აღნიშნავენ (2007: 1258) „ჰაკნიდან დაწყებული ჰონოლულუსა და ჰონგ-კონგითი დამთავრებული, თითოეულ ადგილს გააჩნია ცვალებადი ისტორია, მემკვიდრეობა, ინსტიტუტები და გამორჩეული მახასიათებლები, რომლებიც განაპირობებს ტერიტორიების დამოკიდებულებასა და ფორმას - მათ შორისაა ეკონომიკური აქტივები და ტრანექტორიები, სოციალური საკითხების მიმართ პოზიცია, გარემოსდაცვითი წუხილები, პოლიტიკა და კულტურა“.

ამ ტენდენციებმა გააჩინა კრიტიკული კვლევის სფეროში მნიშვნელოვანი კითხვები, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც ეხება ამ ალტერნატიული პრაქტიკების ადგილობრივ და რეგიონულ დონეებზე კონსტრუირების და დამკვიდრების საკითხს, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კითხვა ეხება იმას, აქვს თუ არა მნიშვნელობა მასშტაბსა და ადგილს ამ კონკრეტულ შემთხვევაში (North, 2005). შემდგომ კვლევას საჭიროებს ამ ალტერნატივებს შორის არსებული ფორმაციული კავშირები, აღმოცენების პროცესში მყოფი ეკონომიკური გეოგრაფია და პრაქტიკები და ასევე დომინანტი კაპიტალისტური აქტივობები. ამ შესწავლის საგანი ასევე აუცილებლად უნდა იყოს რეგიონებს შორის სოციალური და ეკონომიკური ურთიერთობების და მათ შორის კავშირების გადააზრება.

როგორც ჩანს, სივრცითი განვითარების ირგვლივ არსებულ წამყვან ლიტერატურაში ნაკლები ყურადღება ეთმობა კოლექტიური მოხმარებისა და სოციალური რეპროდუქციის მენეჯმენტსა და ეკოლოგიური რესურსების უზარმაზარ მნიშვნელობას ისეთი ევოლუციური პროცესისთვის, როგორცაა ადგილობრივი და რეგიონული განვითარება. მოკლედ რომ ვთქვათ, სახეზე გვაქვს ადგილობრივი და რეგიონული საკითხების სწავლებაში უფრო ფართო უტილიტარული დებატებისა და ანალიზის საჭიროება, რომლის ცენტრშიც იდგება პროგრესი ან კეთილდღეობა და მრავალფეროვანი მიდგომები მის მისაღწევად.

# დასკვნები

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ ტერიტორიული კონკურენტობის იდეა ადგილობრივი და რეგიონული განვითარების პოლიტიკის ყველაგანმყოფ და დომინანტურ მანტრად იქცა სწორედ იმ მიზეზით, რომ მას აკლია სიზუსტე და იმთავითვე ქაოტურია. ამ თავში განხილული პოლიტიკური ეკონომიკის ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ახალი მიდგომების ანალიზი დაგვეხმარა უკვეთ გაგვეგო ამ მიდგომის მოქნილობა და შეგვეფასებინა მისი გამოსადეგობა როგორც პოლისიმიეგრების, ასევე იმ ძირითადი ჯგუფებისთვის, რომლებიც მონადინებულები არიან მხარი დაუჭირონ იმ ინტერესებს, რომლებსაც ეს მიდგომა ემსახურება. თუმცა, ასევე ნათელია, რომ ეს მიდგომა გახლავთ შემზღვედავი და ზრდის დომინანტობაზე მორგებული დისკურსი, რომელიც, ამავდროულად, ვერ ახერხებს დაფაროს ადგილის განვითარებასთან დაკავშირებული გაცილებით ფუნდამენტური სოციალური და ეკოლოგიური საკითხები.

ამ ფონზე, სულ უფრო იზრდება იმ სამეცნიერო ლიტერატურის მოცულობა, რომელიც ამტკიცებს, რომ ადგილობრივი და რეგიონული განვითარება და კეთილდღეობა უნდა განვიხილოთ და განვახორციელოთ უფრო ფართო ონტოლოგიის საფუძველზე, რომელშიც ფირმების გლობალური კონკურენტობის ეკონომიკური იმპერატივი მხოლოდ ერთი და არა ერთადერთი რაციონალური ფაქტორია. თუმცა, როგორც დადასტურდა, ქალაქისა და რეგიონის მედეგობის ალტერნატიული, მეტად კონტექსტ-სპეციფიკური დისკურსის შერჩევისა და შენარჩუნების მასშტაბი უმთავრესად დამოკიდებული იქნება არადგილობრივი ცვლილებების კატალიტიური ძალების შედარებით მნიშვნელობასა და ადგილებზე უფრო ლიბერალური ფაქტორების არსებობაზე.

ეს ასევე ეხება პოლიტიკური არჩევნის როლს კაპიტალისტური სოციალური ურთიერთობების მიერ დანსებული შემზღვევებისა და კონკურენტულობის იმპერატივის ირგვლივ მიმდინარე ლოკალიზებული ბრძოლების მასშტაბის გაზრდის შესაძლებლობების ფონზე. გარკვეული ალბათობით, არსებობს ადგილობრივი განვითარების კომპლექსური და სიცოცხლისუნარიანი ალტერნატივების ფართო სპექტრი, თუმცა, ასევე არსებობს იმის ალბათობაც, რომ ადგილობრივ დონეზე აქტიურობა მხოლოდ იმდენად წავა შორს, რომ ხელი შეუწყოს შესაბამის ცვლილებებს.

განვითარების ახალი საზომებისა და რეგულატორული რეჟიმების შემუშავების ირგვლივ მიმდინარე გლობალურ დისკუსიაში ერი სახელმწიფოები ინარჩუნებენ დომინანტური აქტორის როლს. გარდა ამისა, მათ აკისრიათ უდიდესი მნიშვნელობა სუბ-ნაციონალურ დონეზე ძალაუფლების, რესურსებისა და შესაძლებლობებზე ზემოქმედებისვის დევილუციური პროცესების მეშვეობითა და ადგილობრივ დონეზე აქტივობის გაძლიერების მიზნით. პოლიტიკური აქტიურობა და პოლიტიკის ცვლილებები უნდა დაეყრდნოს იმის ზუსტ გააზრებას, თუ როგორ ფუნქციონირებს რეგიონები და ქალაქები. ტერიტორიული კონკურენტულობის ამბავი სამაგალითოა „პოლიტიკით ნაკარნახევი თეორიის“ ძალიან რეალური საფრთხეების წარმოსაჩენად. ეს ის გამოწვევაა, რომელიც თეორეტიკოსების მხრიდან რეაგირებას საჭიროებს.





კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრი  
ოთარ ჩხეიძის #5 თბილისი 0177, საქართველო  
(995 32) 2 20 67 74/75

[www.ctc.org.ge](http://www.ctc.org.ge)

[ctc@ctc.org.ge](mailto:ctc@ctc.org.ge)